

დაწესებული შეზღუდვების ეფექტი ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე

ალიონი. 25 აგვისტოდან, კვების ობიექტების მუშაობა, ნაცვლად 23:00 საათისა, დასაწყისი იქნება 22:00 საათამდე; მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფარგლებში 2 სექტემბერს ბათუმის სტადიონზე დაგეგმილი საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და კოსოვოს საფეხბურთო მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდება, ისევე როგორც, ყველა სხვა დაშვებული სპორტული ღონისძიება, - აღნიშნული გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 27 აგვისტოს სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

საბჭომ განიხილა 14 აგვისტოდან დაწესებული შეზღუდვების ეფექტი ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე, ვაქცინაციის პროცესი, კლინიკურ სექტორში არსებული ვითარება და, მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ტენდენციების გათვალისწინებით, დამატებითი შეზღუდვების დაწესების გადაწყვეტილება მიიღო.

კვლავ აკრძალულია ფესტივალის, გასართობი და კულტურული ღონისძიებების, კონცერტებისა და სპორტული შეჯიბრებების გამართვა, ასევე, ისეთი სოციალური ღონისძიებები, როგორცაა - ქორწილი, ქვლეხი, სხვადასხვა სახის ოუბლე და ა.შ. პირბადის ტარება სავალდებულოა როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეებში, რამდენადაც ის, ვაქცინაციასთან ერთად, ვირუსის გავრცელების პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. შესაბამისად, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭომ მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ატარონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში.

ამასთან, საკოორდინაციო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე დაამტკიცა ტურიზმის კერძო სექტორში დასაქმებულთა ვაქცინაციის სტიმულირების პაკეტი, რომლის თანახმად, ტურისტული

კომპანიები, განთავსებისა და კვების ობიექტები სხვადასხვა სახის შეღავათებით ისარგებლებენ. უსასყიდლო წვდომა ექნებათ სახელმწიფო სერვისებზე სრულად ვაქცინირებულ გიდებს, კერძოდ - სახელმწიფო მუზეუმებში, დაცულ ტერიტორიებსა და საბაგროუბზე.

გარდა ამისა, შრომის ინსპექცია, მუნიციპალური სამსახურების, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ჩართულობით საქართველოს მასშტაბით განაგრძობს დადგენილი რეგულაციების აღსრულების მკაცრ კონტროლს. 21-23 აგვისტოს, შესაბამისი უწყებების ერთობლივი ძალისხმევით, შემოწმდა 400-ზე მეტი ობიექტი, რომელთაგან 235-მა - წერილობითი, ხოლო 197-მა ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება მიიღო. აკრძალული საქმიანობის ფაქტზე დაჯარიმდა 3 ფიზიკური პირი, ხოლო შრომის ინსპექციამ დაიღუპა 3 ობიექტი. 10-23 აგვისტოს პერიოდში, საქართველოს მასშტაბით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, დაჯარი-



მდა 37 ობიექტი, მათ შორის 21 ოურიდიული და 16 ფიზიკური პირი და დაიღუპა 16 ობიექტი.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 523 022 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც

458 265 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 6 891 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 116 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 3 320 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 7 410 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი, თავმჯდომარე **კახა კუჭავას** ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.



ა ლ ი ო ნ ი

გ უ რ ი ა

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10398) 30 აბზისტო, 2021 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

სწავლა სავარაუდოდ, დისტანციურად დაიწყება

ვფიქრობ, განათლების სამინისტრო ეპიდემიოლოგიის განიხილავს და სწავლა სავარაუდოდ, დისტანციურად დაიწყება, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლი ეროვნული ცენტრის დირექტორმა **ამირან გამყრელიძემ** მდივანებთან განაცხადა.

მისივე თქმით, სანამ დადებითობის მაჩვენებელი 4%-ზე ქვემოთ არ ჩამოვა და ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგ-პროფესორების 80% არ აიცრება, სკოლებსა და უნივერსიტეტებში უსაფრთხო გარემო არ იქნება.

„ვფიქრობ, განათლების სამინისტრო განიხილავს ამ ფონს და სწავლა დაიწყება დისტანციურად. დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციას, სანამ დადებითი მაჩვენებელი არ ჩამოვა 4%-ის ქვემოთ, დღეს 9.43 პროცენტი გვაქვს, ადმინისტრაციული პერსონალისა და პედაგოგების 80% არ იქნება სკოლაში ვაქცინირებული, ჩვენ ვერ განვიხილავთ სკოლას უსაფრთხოდ, ამიტომ სასურველია, რომ დასწრებული სწავლებისთვის ეს კრიტერიუმები იყოს დამაკმაყოფილებელი. ეს არ ეხებათ მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებაც უნდა იყვნენ აცრილები. 150 000 სტუდენტი არის დღეს, რომლებიც ახალგაზრდები არიან. „დელტა“ შტამი ძალიან ადვილად ვრცელდება ახალგაზრდებში, ადვილად გადადდება, ამიტომ სასურველია, რომ სწავლის დაწყებისთვის ყველა უნივერსიტეტი და სკოლა იყოს უსაფრთხო“, - განაცხადა გამყრელიძემ.



ნასაკირალი ინფრასტრუქტურულად თითქმის სრულყოფილი დაბაა

ალიონი. სახელწოდება ნასაკირალი ამ ადგილებში კირის მოპოვებას უკავშირდება. განთქმული იყო ნასაკირალის ძეგლის ტყე, რომელსაც გურული ფირალები აფარებდნენ თავს გურების აჯანყების დროს, მე-20 საუკუნის დასაწყისში, რასაც „გურიის რესპუბლიკის“ შექმნა მოჰყვა. ამ დროს ნასაკირალი დედაბუნის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა.

1929 წელს გაიჩნა ტყე, დაიწყო ჩაის კულტურის და დაცვითი ტყის ზოლების გაშენება. მოეწყო ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ნასაკირალის ტყის ნაწილი მოექცა დედაბუნის სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში, ნაწილი სოფელ ნასაკირალის სახელით - დიმიტის სასოფლო საბჭოში, ხოლო ქვედა ნასაკირალი შეუერთდა სოფელ მელექედურს.

ნასაკირალის მეურნეობა დაარსებისთანავე მულტიეთნიკური გახდა. აქ ცხოვრობდნენ რუსები, უკრაინელები, პოლონელები, გერმანელები, ჩინელები, იეზიდები და ა.შ. სულ 14 ეროვნების წარმომადგენლები. შემდეგ, 1969 წელს სოფელში დასახლდნენ სტიქიით დაზარალებულები შუაჩხვის, ხულოს და ჩოხატაურის რაიონებიდან--



ახალი სკოლა - დაბა ნასაკირალის სამიზიტო ბარათი

256 ოჯახი. გასული საუკუნის 70-იან წლებში აქ დასახლდნენ მეორე მსოფლიო ომის დროს შუა აზიაში გადასახლებული მესხების რამდენიმე ათეული ოჯახი.

1976 წელს ქვედა ნასაკირალი გამოეყო მელექედურს და დაბის სტატუსი მიენიჭა. გასული საუკუნის 90-იანი წლების სამოქალაქო ომის შემდგომმა პერიოდმა გარკვეულწილად შეცვალა დაბის დემოგრაფიული სურათი. არაერთმა რუსმა, უკრაინელმა,

პოლონელმა და სხვა ეროვნების წარმომადგენელმა დატოვა აქაური საცხოვრისი...

დაბის ცენტრში აღმართული ქართული დედის ძეგლი შეგვასხენებს, აქაურები როგორ პატივს მიაგებენ წარსულს. კარგად გვახსოვს ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული ავღანეთში დაღუპული **ზურაბ მახარაძის** მძისადმი გაგზავნილი წერილები, რომელიც გვეუბნებოდა, თუ როგორ შეყარეს ავღანეთის ომში პროფესიონალ „ბოვეციკთან“ საბრძო-

ლველად პირტიტველა ბიჭები, რომელთაგან ბევრი დაიღუპა იქ. აფხაზეთის ომში დაიღუპნენ: **თამაზ რამიშვილი, დიმიტრი თალაკვაძე, ელვარდ თავაძე, არტურ აივაზიანი, ტარიელ მახარაძე.** მათ საფლავებთან საქართველოს ეროვნული დროშები ფრიალებს.

—სოფლის პროგრამის ფარგლებში ამ სასაფლაოებთან მისასვლელს ვაწესრიგებთ, - გვითხრა ოზურგეთის მუნიცი-

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარმანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონით»

ფერმერთა დღეები უკვე დაიწყო



შეკვეთილში, მუსიკოსთა პარკში მდებარე სოციალურ სივრცეში, ყოველკვირეულად, ახალგაზრდა ფერმერთა წახალისებისა და საოჯახო სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით, ფერმერთა დღეები იმართება.

სოციალური სივრცე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ საოჯახო მეურნეობებს, პროექტის „ჩაის გზა“ მონაწილეებს საგანგებოდ მოწოდებულ აგრო სივრცეში მასპინძლობს. აგროსივრცეში მისულმა სტუმარმა დააგემოვნა და შეიძინა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები: ჩაი, ჩირი, თაფლი და ჩურჩხელა, ასევე მიიღეს ინფორმაცია ოზურგეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ. პროექტის ინიციატორი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურია, ფერმერთა დღე, ყოველ კვირა დღეს მუსიკოსთა პარკის სოციალურ სივრცეში ტარდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის შეკვეთილის სოციალურ სივრცეს თანამშრომლობისათვის.

საქართველოში ემიგრანტებს უფრო მეტი ფული უმეოაქვთ, ვიდრე უცხოელ ინვესტორებს



ბოლო რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობას აღმაავალი ტენდენცია აქვს. უცხოეთიდან გადმორიცხვების რეკორდული მაჩვენებელი გასულ წელს დაფიქსირდა - 1,886 მლრდ აშშ დოლარი. მოსალოდნელია, რომ ეს მაჩვენებელი მაღალი იქნება მიმდინარე წელსაც, რადგან 7 თვის განმავლობაში ქვეყანაში ემიგრანტებმა უკვე 1,291 მლრდ აშშ დოლარი გამოგვიგზავნეს. ის ფაქტი, რომ ფულადი გზავნილების მაჩვენებელი მაღალი ტემპით იზრდება, იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობა პერსპექტივას არა საქართველოში, არამედ სხვა ქვეყანაში ეძებს, მათ შორის, შემოსავლების თვალსაზრისითაც. აქ ყველაზე საინტერესო ის გარემოებაა არის, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ემიგრანტებს უფრო მეტი უცხოური ვალუტა შემოაქვთ საქართველოში, ვიდრე ამას უცხოელი ინვესტორები აკეთებენ. 2018 წელს ქვეყანაში

ჯამში 1,317 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,580 მლრდ დოლარი შეადგინა. 2019 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,336 მლრდ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა ფულადი გზავნილები 1,933 მლრდ დოლარი იყო. უკვე 2020 წელს, პანდემიის პირობებში ინვესტიციების შემოდინების მოცულობამ რადიკალურად იკლო და 572 მლნ დოლარი შეადგინა და ეს მაშინ, როცა ფულადი გზავნილები რეკორდულ ნიშნულამდე გაიზარდა და 1,886 მლრდ დოლარი შეადგინა. ვითარება არც მიმდინარე წელს შეცვლილა. 2021 წლის პირველ კვარტალში საქართველოში 132,2 მლნ დოლარის ინვესტიცია შემოვიდა, იმავე პერიოდში ფულადი გზავნილების მოცულობა კი 499 მლნ დოლარი იყო. ცხადია, საქართველოს მსგავს პატარა და ღია ტიპის ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციები

საქართველო გერმანიისგან დახმარების სახით 50 000 ლოზა „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ ვაქცინას მიიღებს



მაღე საქართველო გერმანიისგან დახმარების სახით 50 000 ლოზა „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ ვაქცინას მიიღებს, - ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისივე თქმით, „ჯონსონ ენდ ჯონსონით“ იმუნიზაცია მხოლოდ

ერთი დოზით ხდება. „ჯონსონის“ მთავრობისგან ველოდებით მაღე დახმარებას 50 000 „ჯონსონ ენდ ჯონსონის“ ვაქცინით. ეს არის ერთჯერადად რომელიც კეთდება და არა ორი ინექციით. დიდი ალბათობით ეს სექტემბერში უკვე გვექნება,“ - განაცხადა ამირან გამყრელიძემ

დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ჯანსაღი ინვესტიციები ხელს უწყობს წარმოების წახალისებას, რაც იწვევს დასაქმების ზრდასა და უმუშევრობის შემცირებას. ამასთან, იზრდება ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი, რაც ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას მოსახლეობისთვის უფრო მეტი გააკეთოს. თუმცა, მართლაც ამ შედეგებისთვის კარგად ჩანს, თუ რა მდგომარეობაშია ეკონომიკა და როგორ უჭირს ქვეყანას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით. საკითხში გარკვეული ადამიანები ინვესტიციების სიმცირეს საქართველოში სხვადასხვაგვარად ხსნიან. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არგუმენტი, რომელსაც მთავრობა ამ მიმართულებით იყენებს, განათლების დაბალი დონეა, რაც ხელს უშლის ინვესტორს, რომ საქართველოში ფული ჩადოს. თუმცა, იგივე არგუმენტს იშველიებენ სხვა პრობლემების მიმართულებით, მაგალითად, უმუშევრობის, სოფლის მეურნეობის განვითარების დაბალი ტემპების და ა. შ. რა თქმა უნდა, ინვესტიციების შემოდინების შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება ადგილობრივი მუშახელის კვალიფიკაციის პრობლემაც იყოს, მაგრამ ზოგადად სამყაროში ერთ დამოკიდებულ ცვლადზე სხვადასხვა დამოკიდებული ცვლადი შეიძლება მოქმედებდეს. აქ მთავარი ისაა, თუ რომელ ცვლადს უფრო დიდი გავლენა აქვს დამოკიდებულ ცვლადზე. ასე მაგალითად, როცა ადამიანი გადაწყვეტს, რომ წავიდეს საგაჯრო ცენტრში, ამ გადაწყვეტილებაზე შეიძლება რამდენიმე დამოკიდებულ ცვლადი ახდენდეს გავლენას, მათ შორის, ტანსაცმლის აუცილებ

ბლობა, განტვირთვა, ან დროის გაყვანა. იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის გადაწყვეტილებაზე სავაჭრო ცენტრში წასულიყო, 90%-იანი გავლენა ტანსაცმლის აუცილებლობამ განაპირობა, მაშინ გამოდის, რომ მთავარი ფაქტორი სწორედ ეს ყოფილა და არა განტვირთვა, ან დროის გაყვანა. ასე ხდება უცხოური ინვესტიციების შემთხვევაშიც, გამომდინარე იქიდან, რომ მთავარ პრობლემებზე აქცენტირება ფართო მასშტაბით არ ხდება. ინვესტიციების შემცირების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხია. საერთაშორისო ინდექსებიც სწორედ ამაზე მიუთითებს. **Heritage Foundation**-ის კვლევის მიხედვით, ეკონომიკის თავისუფლების ინდექსში საქართველოს ყველაზე დაბალი შეფასება სწორედ კანონის უზენაესობის მიმართულებით აქვს. ამას ემატება კორუფციის აღქმის დონეც. კერძოდ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ამ თვალსაზრისით პროგრესი არ ჰქონია და 2019 წლის მოცემულობის მსგავსად 2020 წელსაც კორუფციის აღქმის ინდექსში საკმაოდ „სოლიდური“ - 56 ქულა ჰქონდა, რაც ქვეყნისთვის პრობლემაა. ბანალური შეკითხვა, რას გააკეთებდით მილიონი რომ გქონდეთ, ცოტა რომ შეეცვალოთ და მეტი გულწრფელობისთვის საკუთარ თავს ვკითხოთ: მილიონი დოლარი რომ გქონდეს, დავაბ-ანდებდით თუ არა იმ ქვეყანაში, სადაც მაღალია კორუფციის აღქმის ინდექსი და დაბალია სასამართლოს სისტემის მიმართ ნდობა? დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რა პასუხს მივიღებდით.

ოზურგეთის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი მიმართვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატებს



2 ოქტომბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ამომრჩევლებმა უნდა გააკეთონ საკუთარი არჩევანი და განსაზღვრონ მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულება მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

თქვენ ხართ ის ადამიანები და პოლიტიკური ძალები, რომლებმაც მიიღეთ ეს გამოწვევა და პასუხიმგებლობით სავსე გადაწყვეტილება,

ემსახურეთ ხალხს და იზრუნოთ მათი კეთილდღეობისთვის.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან დემოკრატიულ პროცესში ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ვართ თქვენი ბუნებრივი მოკავშირეები და გამოვხატავთ მზაობას, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში ასევე არჩევნების შემდეგ ვითანამშრომლოთ ჩვენს მუნიციპალიტეტში უკეთესი, საცხოვრებელი და სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად.

ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები მასში მონაწილეებს არ ჰყოფს გამარჯვებულად და დამარცხებულად, არამედ განსაზღვრავს ადამიანების როლებს, როგორ და რა პოზიციაში ემსახურონ საკუთარ მოქალაქეებს. იმედი გვაქვს რომ ეს

არჩევნები იქნება პროცესი სადაც გურულებს გვაქვს შესაძლებლობა ვაჩვენოთ ჩვენი პოლიტიკურ კლასი, რომელიც ჩვენი ისტორიაც და ამავდროულად მომავალიცაა.

ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, თქვენი მოკავშირეები ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის ზრუნვის საქმეში, მოგიწოდებთ გაითვალისწინოთ, რომ:

– ჩვენი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრის, ქალაქ ოზურგეთისთვის და შემდეგ მთელი მუნიციპალიტეტისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განვითარების გენერალური გეგმის არსებობა. ეს გეგმა სჭირდება არა მხოლოდ ქალაქს და მუნიციპალიტეტს, არამედ პოლიტიკოსებსაც, რომ განვითარება იყოს ფართომასშტაბიანი და მონაწილეობითი პოლიტიკური პროცესის შედეგი.

– ჩვენი მოქალაქეები იმსახურებენ მოწესრიგებულ, მათ საჭიროებებზე და საცხოვრებელ პირობებთან მორგებულ მუნიციპალურ ტრანსპორტს, როგორც ქალაქში ასევე სოფლად.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას დაუთმობთ, როგორც წინასაარჩევნო პროგრამების შემუშავების დროს ასევე შემდეგ მთელი თქვენი პოლიტიკური მოღვაწეობის პერიოდში.

პატივისცემით,
ბურიის სამოქალაქო ცენტრი
ძალაზი რეგიონის განვითარებისთვის ინოვაციებისა და სამო-

ძალაქო განვითარების ცენტრი - პროგრამის სახლი
სტუმდემტურ-ახალგაზრდული სათათბირო
ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი
განათლებისა და თანასწორობის ცენტრი
გარემოსდაცვითი სათემო
ორგანიზაცია - იპო ფინიქსი 2009
ფოზოპოლიტა პაპუჩიანი - ჩამენი შვილიანი
ფოზოპოლიტა მხარდაჭერი
ცენტრი
დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი



სოფელი

ნასაკირალი ინფრასტრუქტურულად თითქმის სრულყოფილი დაბაა

იპალიტეტის მერის წარმომადგენელმა დაბა ნასაკირალში **ოთარ ადაძემ** და ე.წ. მე-4 რაიონის ტერიტორიაზე სასაფლაოს მისასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები გვაჩვენა.

დაბაში, სადაც პატივს მიაგებენ ომის გმირებს, არც რელიგიურ თემას ტოვებენ უყურადღებოდ. 4 წლის წინ მეჩეთად გადააკეთეს კომუნისტების-დროინდელი ჯამე, რომელიც დღეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი დასავლეთ საქართველოში.

– აქაურების შემოწირულობებით გაკეთდა. გარდა ამისა, საკმაოდაა ის ნასაკირალები, რომლებსაც ბათუმში ბიზნესი აქვთ. ვინ სამშენებლო მასალით დაეხმარა მეჩეთიც მშენებლობას, ვინ მატერიალურად. მოიხატა მეჩეთი. შემოსავლების კიბეებზე სოფლის პროგრამის ფარგლებში განათობები მოვაწყვეთ. შარშან გზა გაკეთდა და მეჩეთთან მისასვლელიც კეთილმოვაწყვეთ. რამდენიმე ათეული

ბლოდ ასახვას ვერ პოულობს არჩევნებისას, მაგრამ პირად საუბრებში აქაურები ამას აღნიშნავენ.

3 წლის წინ მელექტრო-ნასაკირალის 2,5 კილომეტრი გზის რეაბილიტაცია მოხდა, ხოლო შარშან ბაილეთ-ნასაკირალის 3 კილომეტრი სიგრძის ცენტრალური გზა გაკეთდა. ამ პროექტებზე რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა.

ადაძის თქმით, დღეს დაბას აღარ აქვს სასმელი წყლის, ბუნებრივი აირისა და ელექტროენერჯის პრობლემა.

საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, დაბა ნასაკირალის სავიზიტო ბარათი 600 ბავშვზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტის სკოლის შენობაა. ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა 2021 წლის ავგისტში დასრულდა. მშენებლობის ღირებულებამ 7 022 440 ლარი შეადგინა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ სკოლაში

„იმპოსტი“ იყო.

– ძალიან დიდი სიხარულია ასეთი სკოლის შენობა. აქ დემოკრატიული სიტუაცია კარგია, ბოლო ათწლეულში მატერიალურად ტენდენციით. 605 სასკოლო ასაკის ბავშვი გვყავს. ისინი ახალ შენობაში ისწავლიან, – გვითხრა ოთარ ადაძემ.

დაბის ტერიტორიაზე 2 საბავშვო ბაღის შენობაა. სოფლის ცენტრში არსებული ბაღში სამი ჯგუფი მუშაობს და აქ 105 ბავშვია, მეორე საბავშვო ბაღი სოფელ დვამბურს (ნასაკირალის დასახლება), ასევე ნასაკირალის ნორჩებს ემსახურება. ბავშვებს ემსახურება ასევე დაბის 5 დასახლებაში არსებული ატრაქციონები, რომლებიც სოფლის პროგრამის ფარგლებში მოეწყო.

– ბაღი ტერიტორიულად ნასაკირალს ეკუთვნის. იგი დვამბურს, ბაზვის ნასაკირალის და სოფელ ძიძიძის მოსახლეობას ემსახურება. დაბის ტერიტორიაზეა სილაურის, მელექტურის, ბოხაურის დასახლებები. ძნელია მათგან ტერიტორიული ერთეულის ცენტრთან კავშირი და მერიაში, საკრებულოში განცხადებების გადაგზავნაში ჩვენგან ახდენენ – გვითხრა ადაძემ.

დაბის საექიმო უბნის მისაღებად რამდენიმე ადამიანი ექიმთან ვიზიტს ელოდებოდა. ჩვენ დაბის ექიმს **მაია გობრონიძე** ვესაუბრეთ:

– „COVID 19“ მსოფლიო პრობლემაა. ნასაკირალები არც სკეპტიკურად არიან განწყობილნი კოვიდზე აცრის მიმართ და არც აქტიურობით გამოირჩევიან. კოვიდის გავრცელების შემთხვევები არის, ჩვენ ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობთ, რადგან ისინი სხვადასხვა კლინიკას მიმართავენ. ბევრი გამოჯანმრთელდა. ისე, ჩვენი ცნობით, დაბაში 35 ადამიანი კოვიდით დაავადებული, ისინი 10-მდე ოჯახების წევრები არიან. ნაწილი ბინაზე მკურნალობს, ნაწილი სხვაგან. – გვითხრა **მაია გობრონიძემ**.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო საკმაო თანხებს ხარჯავს ნასაკირალელთა პირობების გასაუმჯობესებლად. ადაძის თქმით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 10-მდე სახლი კაპიტალურად გადაიხურა.

ასფალტის საფარი დაიგო თეოფილე მგელაძის (№7 ქუჩა) ქუჩაზე. აქ ორ სოციალურად დაუცველ ოჯახს სახურავი შეუძინეს გადაუხურეს.

სოციალურად დაუცველი მართლებია დედა **მაგული დავლაძე** სახლში არ დაგვხვდა. იგი ორ შვილთან ერთად თხილის საკრეფად იყო წასული. მეორე – **იოსებ ძირკვაძე** ვნახეთ.

– მე ინსულტი გადავიტანე, შვილი ავდაა. მივმართე ოზურგეთის მერს. მოვიდნენ, ნახეს ჩემი მდგომარეობა, შეამოწმეს სოციალური ქულა და დამეხმარნენ სამშენებლო მასალით (ბლოკი, სახურავის ხეობა) სახლი თუნუქით გადაიხურეს – გვითხრა იოსებ ძირკვაძემ.

ასევე ვერ ვნახეთ სახლში **ვენერა ჩახვაძე**, რომელსაც მერიამ გადასცა თუნუქის სახურავი.

როგორც დავაზუსტეთ, ბოლო 2 წელიწადში 2 კილომეტრამდე ბეტონის გზა დაიგო ასევე №8,9,10 ქუჩებზე, ხოლო გადაიხურა 7 საერთო საცხოვრებელი.

– 2-სართულიანი 7 საერთო საცხოვრებელი გადავხურეთ, სადაც 50-მდე ოჯახი ცხოვრობს. მოვაწყვეთ სკვერები და ატრაქციონები – ეს სოფლის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. თავად ნახეთ, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების წყალობით არ გადაყრილა. შედეგი გვაქვს. დაბა ნასაკირალში ბოლო 2-3 წელიწადში იმდენი რამ გაკეთდა, რაც ბოლო 30 წელიწადში

არ გაკეთებულა – გვითხრა ოთარ ადაძემ.

მე-4 რაიონში საცხოვრებელი სახლების, სასაფლაოს მისასვლელის და ატრაქციონის ნახვის შემდეგ მდინარე სკურდუმის ნაპირას ამ დაბის მაჟორიტარი დეპუტატის ბესო ქათამაძის ახალგაშენებული მოცივის პლანტაციაც ვნახეთ, რაც კარგია. რაც შეეხება კრიტიკას, ერთ-ერთ უბანში მოხუცმა ქალბატონმა შემოგვიჩვენა – ძროხებს იპარავენ და პოლიციამ ვერეფერი მოახერხაო.

– ძროხების ქურდობის ფაქტები ოთარ ადაძემაც დაადასტურა. 50-მდე ძროხის ქურდობა მოხდა. ერთ ოჯახს 3 თუ 4 ძროხა მოპარეს. პოლიციამ ჯერჯერობით ქურდები ვერ იპოვა, – გვითხრა მან.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა ოთარ ადაძის შესახებ.

– მეზღვაურობაზე ვოცნებობდი. ბათუმის საზღვაო აკადემია დავამთავრე ინჟინერ-ელექტრიკოსის სპეციალობით. შორეულ ზღვაო-ნობაში წასასვლელად ვემზდებოდი. მოულოდნელად მამა გარდაიცვალა. სახლკარს, ოჯახს პატრონობა სჭირდებოდა და კერძო ბიზნესით დაეკავდი. პირველად ვარ სახელმწიფო სამსახურში, მინდა ჩემი დაბისთვის კარგი საქმეები ვაკეთო – ორიოდე სიტყვით გადმოგცვა თავისი ბიოგრაფია დაბის რწმუნებულმა.

როგორც გავიგეთ, მას ახლახან ვაჟი ნიუ შეეძინა. ვულოცავთ!!!



ავტომანქანის სადგომი გაეკეთეთ. 700 კაცი ეტევა ლოცვის დროს ტაძარში. – გვითხრა ადაძემ.

იმაში ახმედ გელაძე არ დაგვიხდა ადგილზე. იგი პარასკევის ღვთაებაზე შუადღისას მოვიდოდა...

დაბა ნასაკირალი ერთ-ერთი გამორჩეული დასახლება რეგიონში, სადაც ბოლო პერიოდში ყველაზე მეტი მოცულობის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, მართალია, ეს მთავრობის სასარგებ-

24 საკლასო ოთახი და 4 კაბინეტ-ლაბორატორიაა. კეთილმოეწყო სკოლის ეზო, ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. შენობაში არის ლიფტი. სკოლა ამასწინათ საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინანუსულა. მშენებლობა რეგიონული განვითარების ფონდმა და ერთ-ერთმა უცხოურმა დონორმა ორგანიზაციამ განახორციელა, მშენებელი კი შპს



ალიონი 90

1939

რამდენად კანონიერია მს?

მერიის სოფლმალაზიაში გაღ- ასყიდათ გამოიტანეს ერთი კვლეის საათი.

საათი იყიდა იქვე მომუშავე დალაქმა ს. მჟავანაძემ. აფთიაქის გამგენ გ. ლლონტმა სასოფლო- საამხანაგო სასამართლოში იჩივლა: -საათი მე მეკუთვნიდაო.

საამხანაგო სასამართლომ იმს- ჯელა ამ საკითხზე და მიიღო გადა- აწყვეტილება მჟავანაძისაგან სა- ათის ჩამორთმევისა და ლლონ- ტისთვის გადაცემის შესახებ.

სასამართლომ დადგენილებაში აღნიშნა, რომ თითქოს საათი სავაჭროდან იძულებით(!) არის წაღებული.

რამდენად კანონიერია ეს.

კიდევ აფთიაქის შმსახე

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი გაზეთის საშუალებით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ ქ. მახარაძეში გახსნილიყო მეორე აფ- თიაქი, ვინაიდან არსებული აფთიაქი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილე- ბას. ეს საკითხი ჯანმრთელობის და სააფთიაქო სამმართველოს რაიგანყ- ოფილებებმა -ჯერ კიდევ ვერ მოაგვარეს, წამლების გაკეთება აფთიაქის ვადატყვირთვის გამო ორ-სამ დღემდე ჭიანჭურდება, გაც აფერხებს მკურნალობის საქმეს.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

ექიმი.

მიაქციეთ ყურადღება

ლაშეგაკირულის ფურნე არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ინვენტარით, არ აქვთ "ფარს- უნკა," პურის ტილოები, გობი და სხვა.

პურისმცხობელებს 1938 წლის იანვარიდან დღემდე არ მიუღიათ სპეცტანსაცმელები, არ არის საკმარ- აროდენობის მცხობელებიც.

ა. ა-ძე

გვიჩვენეთ კინო ფილმი

ლაშეგაკირულის ფილიპე მა- ხარაძის სახელობის კოლმეურნეო- ბა მოწინავეა სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულების საქმეში, მაგრამ აქ მოისუსტებს კოლმეუ- რნეთა კულტურული მომსახურება.

განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეთა კინო მომსახურება, რასაც მახარაძის კინობაზამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

აკ. აბუსერიძე №29, 4 აპრილი, 1939 წ.

რამდენიმე სტრიქონით

მაკვანეთში დაიწყო შენობის აგება სოფლმალისათვის. უკვე შეძენილია საჭირო საამშენებლო მასალა და მუშაობა გაცხოველებით მიმდინარეობს.

ს. მამინაიშვილი

ცხემლისხილში კოლმეურნეო- ბის გამგეობამ 2 ჰექტარი მიწა გამოჰყო ფიზკულტურის სტადიონ- ისთვის.

ეს არ კმარა, საჭიროა ფართ- ობის მოწყობა, რომ იგი მზად იყოს პირველი მასისათვის.

შ. მშვიდლობაძე იანეთის (ჯუმათი) პურის სა- ცხობში ანტისანიტარული მდგომარეობაა. ფურნე შეუკეთებელია, პუ-

რის საზელი ხელსაწყოები დაძ- ველებულია.

წყალი, რომლითაც ფქვილი იზილება - უწმინდურია. ეს მდგო- მარეობა დაუყონებლივ უნდა გამოასწორონ

შ. მჟავია

მერიის საშუალო სკოლის ბიბლ-იოთეკას ლიტერატურა საკ- მარო რაოდენობით მოუპოვება. მოწ- აფეობა კარგად საეგებლობს წიგნ- ებით.

მასწავლებელი სისტემატურად ამოწმებს, თუ როგორ იყენებენ მოსწავლეები კლასგარეშე საკით- ხავ ლიტერატურას.

მ. ანდლულაძე ლაშეგაკირულის კოლმეურნე- ეობაში ფიზკულტურული მუშაობ- ისათვის არავენ ზრუნავს.

აქ დღემდე არ ჩამოუყალ- იბებიათ ფიზკულტურის წრე, არ ჩაუბამთ მასში დაინტერესებული ამხანაგები.

ა. აბუსერიძე ზვანშიდნანის კოპსავაჭროს გამყიდველი ს. ც. მომხმარებელს უხეშად ეპყრობა.

კიდევ მეტი: ამ რამდენიმე დღის წინათ მან ჩულქის საყიდად მი- სულ პ. ხლაბუსტოვს ფული დაუწ- ია და ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა.

ც-ძე სასტიკ პასუხისგებაში უნდა მიეცეს.

გ. მახარაძე ნავომრის კოლპერაციის სას- ურსათო განყოფილება კარგად მუ- შაობს. პროდუქტები ასორტიმე- ტრის მიხედვით დალაგებულია მიჩნეულ ადგილზე ლამაზად. დაც- ულია სისუფთავე.

გამყიდველი ამხ. გრეკოვი მომ- ხმარებლებს თავაზიანად ეპყრ- ობა. გეგმებს გადაჭარბებით ასრუ- ლებს.

კ. წიტიანიშვილი ჯუმათის მცხოვრები პ. ბ- ძე ოჯახისადმი არაადამიანურ დამოკი- დებულებას იჩენს.

იგი თავის ცოლს -ტანას, რომელიც ოჯახის დიდი მოყვარუ- ლია და ამავე დროს აქტიური, - ნშირად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს.

კიდევ მეტი: მან დედა-შვილი ფიზიკური შეურაცყოფის მიყენების შემდეგ სახლიდან გააძევა.

სიტყვა პროკურორს ეკუ- თვნის.

თ. მჟავია №31, 14 აპრილი, 1939 წ.

მედიმი-მეგობარი

ექიმი მიშა ქავთარაძე ამ თანამდებობაზე 15 წელის მუშაობს. მან სიღარიბეში დაამთავრა სახ- ელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მას გზავნიან სილაურის საექიმო პუნქტის გამგედ. მოკლე დროის განმე- ლობაში მან დიდი ავტორიტეტი დამსახურა სილაურის მშრომელ- ებში.

1926 წლიდან მიშა გადმოყ- ვანილი იქნა რაიონის ტროპიკული სადგურის გამგედ, სადაც ამჟამად განაგრძობს მუშაობას. ამხ. მიშა რაის კარგი სპეციალისტი და ამავე დროს - ექიმი მეგობარი. „ყოვ- ელთვის მე ვცდილობ, ავადმყოფმა ჩემგან მიიღოს გულთბილ, კეთილშობილურ რჩევასთან ერთად მაღალი კვალიფიციური საექიმო დახმარება“ თქვა მან. ამხ. მიშამ



თავისი კვალიფიციური დახმარებით მრავალი ავადმყოფი გამოიყვანა სასიკვდილო მდგომარეობიდან.

როგორც ვიცით, მაღარიასთან ბრძოლა სერიოზულ საქმეს წარ- მოადგენს. ამხ. მიშან 1927 წელს ჩვენს რაიონში გაავრცელა ანტი- მალარიული ამერიკული თევზი „გამბუზია“, რომელიც ანადგურებს მალარიის გამავრცელებელ კოლოსა და მატლებს.

ტროპსადგურთან ჩამოყალიბე- ულია მაღარიასთან მეტროლი კადრების (ბონიფიკატორების) მო- სამზადებელი კურსები, რომელსაც თვით ამხ. მიშა ხელმძღვანელობს და ყოველწლიურად ხდება აღნიშნული კურსების გამოშვება.

ამჟამად ამხ. მ. ქავთარაძე დიდ მუშაობას აწარმოებს საკუთარი საექიმო კვალიფიციაციის ამაღლე- ბისათვის და ამავე დროს გულმოდ- გინედ სწავლობს სტალინურ სახელმძღვანელოს - საკ.კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურს.

ჭ. ზომერიკი სინარულით აღვსილი

აბრეშუმის ფაბრიკის საბავშო ბაგაში 1938-39 წლებში სიკვდილ- იანობის არცერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი.

ბაგაში ბავშვების მოვლა კარ- გად არის დაყენებული; საექიმო და მშობლიური მზრუნველობა უზრუნ- ველყოფილია.

110 დედა გულდამშვიდებით მუშაობს დაზვასთან იმ იმედით, რომ მათი შვილები ბაგაში რამდენ- იმე საათით უდებობას ვერ გრძნობენ.

შესვენების დროს დედები ნახ- ულობენ თავიანთ შვილებს კვლავ ბრუნდებიან სამუშაოზე სინარუ- ლით აღვსილნი.

კ. სანადირაძე №35, 1მაისი, 1939 წ.

პროფ. მ. გობიპარამის საუბარი მოსწავლეებთან

განათლების კლუბში 13 მაისს პროფ. მ. გობიპარამმა მახარაძის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებთან ჩაატარა ლექცია შემდეგ თემაზე: „რა როლს ას- რულებემ ადამიანები ისტორიაში“.

ლექციის დამთავრების შემდეგ გობიპარამი ესაუბრა მოსწავლეებს პროფესიის არჩევის შესახებ, როგორ უნდა იმუშაონ დამოუკიდე- ბლად წიგნზე და როგორ ტარდე- ბა ლექციური სისტემა უმაღლეს სასწავლებელში.

პროფ. მ. გობიპარამის გულ- თბილი საუბრით მოსწავლეები დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

გ. მგელაძე

ახალი აბანო

დამთავრდა აბანოს მშენებლობა ადგილობრივი მრეწველობის მუშ- ებისა და მოსამსახურეებისათვის.

აბანოს აგებაზე დაიხარჯა 40 000 მანეთი.

№39, 21მაისი, 1939 წ.

იხსნა დამარცხებისაგან. მ. მექ- ვაბიშვილმა კვლავ შეძლო მეორე ბურთის მოთავსება სტუმრების ბადეში.

თამაშის დამთავრებას 5 წუთი აკლდა, როდესაც მახარაძელები პენალტით დაჯარიმდა და სამტრ- ედიელებმა შეძლეს ბურთის გატანა.



ოზურბაითის ფხვბურთელთა გუნდი 1938 წლის ჩამაიონი რაიონთა შორის

ფხვბურთი

მახარაძე ნაკრები- ბათუში (ბურევესტნიკი)

23 ივნისს ფიზკულტურის სტადიონზე ამხანაგურ შეჯიბრ- ებაში ერთმანეთს შეხვდნენ მახა- რაძის (ნაკრები) და ბათუმის (ბურევესტნიკი) ფხვბურთელთა გუნდები.

6 საათზე დაიწყო თამაში. დაწყებისას ინიციატივა მახა- რაძელების ხელში იყო. მე-3 წუთზე თავდამსხმელთა სამეულის გათამაშებული კომბინაციის შე- დევად ბურთს მარცხენა გარემარბი მ. მექვაბიშვილი ღებულობს, აწვდის კ. თოხაძეს. ეს უკანასკნელი კი ბურთს სტუმრების ბადეში ათა- ვსებს.

სტუმრები შეეცადნენ ანგარ- იმის გაქვითვას, მაგრამ ამაოდ. მე- 15 წუთზე მ. მექვაბიშვილი მძლავრად დარტყმულ ბურთს აგზა- ვნის მოწინააღმდეგის კარებში. პირ- ველი ტაიმი დამთავრდა 2:0 მახარაძის სასარგებლოდ. მეორე ტაიმში მახარაძელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს თამაშის ტემპე- ბი და ბურთი ოთხჯერ მოათავსეს სტუმრების ბადეში. თამაში დამ- თავრდა 6:0 მახარაძის ბტყვინვალე გამარჯვებით.

შეჯიბრება მახარაძელებსა და სამტრედიელებს შორის

24 ივნისს მახარაძის ფიზკულ- ტურის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სამტრედიის „კრასნაია როზას“ და მახარაძის „კრასნაია როზას“ ფხვბურთელთა გუნდები. თამაში საქართველოს პირვე- ლობაზე მიმდინარეობდა.

თამაშის დაწყების პირველ წუთებში ინიციატივა სტუმრების ხელში იყო. მაგრამ მათ მინც ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. 25-ე წუთზე მარცხენა გარემარბმა ამხ. მ. მექვაბიშვილმა მზლავრი და- რტყმით ბურთი სტუმრების ბადეში მოათავსა. სტუმრების ცდამ ან- გარიშის გაქვითვისათვის ამაოდ ჩაიარა. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:0 მახარაძელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის ბოლო წუთებში სტუმრებმა გააუმჯობესეს თამაში. ხშირად კრიტიკულ მომენტებს ჰქმ- ნიდნენ მახარაძელების კარებთან, მაგრამ დამცველთა კოლექტივის მოხერხებულმა თამაშმა გუნდი

თამაში დამთავრდა მახარაძელების გამარჯვებით 2:1.

№46, 27 ივნისი, 1939 წ.

ფოთი („კოლხიდა“) - მახარაძე (ნაკრები)

6 ივლისს, ფიზკულტურის სტა- დიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ფოთის „კოლხიდის“ და მახარაძის ნაკრები ფხვბურთელთა გუნდები. თამაში მიმდინარეობდა საქართვე- ლოს პირველობაზე.

თამაშის დაწყებისთანავე ინი- ციატივა ფოთელების მხარეს იყო. ისინი ენერგულად იბრძოდნენ ანგარიშის გახსნისათვის. 25-ე წუთზე სტუმრებმა გაარღვიეს მახარაძელების კარები. მახარაძე- ლებმა გააუმჯობესეს თამაში და შეეცადნენ ანგარიშის გაქვითვას. პირველი ტაიმის დასრულებას 10 წუთი უკლდა, როდესაც მახარ- აძელების მარცხენა გარემარბმა მ. მექვაბიშვილმა საჯარიმო მოედ- ნიდან მკვდარი ბურთი გაგზავნა სტუმრების კარებში, ბურთის აღება ვერ შეძლო მეკარემ. პირველი ტაიმი დამთავრდა 1:1.

მეორე ტაიმში ორთავე გუნდი იბრძოდა ანგარიშის გასაღიდეზად. მახარაძელები მრავალ კრიტიკულ მომენტს ქმნიდნენ სტუმრების კარებთან, მაგრამ თავდამსხმელთა სამეული ამ მომენტს ვერ იყენებდა. უნდა ითქვას, რომ ამ დღეს არ სჩანდა მახარაძელების დამცველთა კოლექტიური თამაში.


მეორე ტაიმში ვერცერთმა გუ- ნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გაღ- იდება და ტამაში დამთავრდა ფრედ. თამაშს კარგად სჯიდა თბი- ლისელი მსაჯი ამხ. კარაკოვი. * * *

12 ივლისს ბათუმში „ტემ- პი“ თავის საფეხბურთო მოედანზე მიიღეს მახარაძის ნაკრებ ფხვბუ- რთელთა გუნდს. * * *

18 ივლისს საქართველოს პირველობაზე ფხვბურთში მახარაძის ფიზკულტურის სტა- დიონზე ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „ურზე“ და მახარაძის ნაკრებ ფხვბურთელთა გუნდები.

№48, 9 ივლისი, 1939 წ.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომი და ბრძოლა ბათუმისთვის



ყირიმის ომის შემდეგ (1853-1856 წწ.) 18/30 მარტის პარიზის ტრაქტატის პირობებს რუსეთი ვერ ურიგდებოდა, რომელიც მას ფლოტის ყოლას უკრძალავდა. შავ ზღვაზე სეკსტობოლის გასამაგრებლად. ამ ხელშეკრულებით თურქებს უნდა დაეცვათ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქრისტიანი მოსახლეობის უფლებები და მათ უნდა ესარგებლათ იმავე უფლებებით, როგორც მუსულმანებს. ამ უფლებებს ყოველთვის არღვევდა ოსმალეთი. ამ პერიოდში მოხდა ამოხსნები კვიპროსზე, ბულგარეთში, ბოსნიამში. ამ ამოხსნების დროს მათ მიერ მართო ბულგარეთში მოკლული იქნა 30 000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, რამაც ვეროპოლის აღშფოთება გამოიწვია, თუმცა თურქებს მხარს უჭერდა ინგლისის პრემიერი დიზრაელი, რომლის წინააღმდეგაც აქტიურად გამოდიოდა ბრიტანეთის პარლამენტის ოპოზიცია.

1876 წელს თურქეთის ომი გამოუცხადა სერბიამ და ჩერნოგორიამ. ამ პერიოდში ავსტრია და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ რუსეთს დაუბრუნდებოდა ბესარაბია და შეეძლო ბათუმის ანექსიაც. ავსტრიას უნდა ეღიარებინა ბულგარეთის დამოუკიდებლობა; სამაგიეროდ ავსტრიამ მიიღო თანხმობა, რომ შეეძლო მიეხდინა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაცია.

1877 წლის თებერვალში რუსეთმა დაძლია ბრიტანეთის წინააღმდეგობა, რათა მათ ულტიმატუმზე, რომელიც მოითხოვდა ოსმალეთის ქრისტიანი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხელი მოეწერათ სამშვიდობო ხელშეკრულებებისათვის სერბებთან და ჩერნოგორიასთან, რაზედაც თურქებმა უარი განაცხადეს. 1877წელს რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ რევანშისთვის ხელსაყრელ დრო დადგა და 12 აპრილს ომი გამოუცხადა თურქეთს. ომი გამოცხადდა რუსეთის ეკონომიკური აღმავლობისა და ახლო აღმოსავლეთში მისი გაძლიერების პერიოდში. ყირიმის ომის შემდეგ რუსეთი პირველად აღმოჩნდა აღმოსავლეთში მოქიშპეთა გარეშე. სლავი ხალხების განთავისუფლების ლოზუნგი ცარიზმმა მოხერხებულად გამოიყენა დიპლომატიური და სამხედრო ბრძოლის

საბაბად. ოსმალეთის იმპერია ამ პერიოდში ღრმა ეკონომიურ და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. რუსეთმა საომარი მოქმედება დაიწყო ორ ფრონტზე-ბალკანეთსა და კავკასიაში, ორივე ფრონტზე რუსეთმა დიდ წარმატებას მიაღწია. XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომი ტრადიციული გახდა ქართველი ხალხისთვის, რომელიც მზად იყო ყოველგვარი მსხვერპლი გაელო ქართული მიწების დასაბრუნებლად. ცარიზმი კი იყენებდა ხალხს ამ მისწრაფებას და ომის პოპულარიზაციას ეწეოდა. ასე მოხდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის დროსაც. მოწინავე ქართველი ინტელიგენციაც-ი.ჭავჭავაძემ, გ.წერეთელი, ს. მესხი და სხვები თავიანთ ხალხს მოუწოდებდნენ რუსეთის არმიის რიგებში ჩამდგარიყვნენ და ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მყოფი ძმები ეხსნათ. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომშიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი (მილიცია), შტაბს-კაპიტან გურიელის მეთაურობით. გურიის მილიცია ყოველთვის ავანგარდში იდგა, რადგანაც ბრძოლის ასპარეზს კარგად იცნობდა. და ამიტომაც ყველა გამარჯვების სული-სამადგმელი იყო.

1877 წლის იანვარში ოზურგეთსა და მის მიდამოებში თავის მყრად დაიწყო ოზურგეთის რაზმმა, რომელიც უნდა გამხდარიყო დასაყრდენი ბაზა მომავალი სამხედრო ოპერაციისათვის ლაზისტანის სანჯაყში, რომელიც ტრაპიზონის ვილაიეთის დიდ ადმინისტრაციულ ერთეულს ეწოდებოდა. მასში, შედიოდა ბათუმ-ქობულეთის მხარეც. მიმდინარეობდა ქალაქის მადლობებისა და სხვა იმ პუნქტების გამაგრება, რომლებიც განლაგებული იყო თურქეთიდან ოზურგეთისკენ მიმავალ გზებზე, ხოლო ექადის მადლობზე ეწყობოდა სამხედრო ბარაკები.

სამხედრო ინჟინრების შტაბს კაპიტნების კარგებისა და გერასიმოვის სელმძღვანელობით, გადაუღებელი, კოკისპირული წვიმების მიუხედავად, საფორტიფიკაციო და საინჟინრო სამუშაოები შეუფერხებლად მიდიოდა. მიმდინარეობდა კერძო სახლების გადაკეთება პოსპიტლებად და საბრძოლო მარაგის თუ სურსათ-სანოვარის საწყობებად.

მდინარე ბუჟუხე, რომელიც ქალაქ ოზურგეთს ჰყოფდა ექადის მდლობისაგან, გაიღო ბურჯებიანი ხიდი... ოზურგეთის რაზმის უფროსი იყო გენერალ-მაიორი ციტოვინი, მის გარდა აქ უმსახურიათ პოლკოვნიკ კონელკოვს, სამხედრო ინჟინრებს შტაბს-კაპიტნებს კარგერს და გერასიმოვს, აქვე ყოფილან რუსეთის არმიის გენერალ-მაიორები ლევან გურიელი და დიმიტრი გურიელი. ოზურგეთის რაზმი განლაგებული იყო გურია-თურქეთის საზღვარზე, უმთავრესად ოზურგეთში. აქ იყო ალექსანდროპოლის ბატალიონი, მე-2 კავკასიური მსროლელთა ბატალიონი, I ქვეითი პლასტუნის ბატალიონი, გურიის ქვეითი დრუჟინა, ოცამდე ქვემეხი. დანარჩენი სამხედრო ნაწილები-ალექსანდროპოლიდან, ლენქორანიდან. ქუთაისიდან თავმოყრილი იყო წმინდა ნიკოლოზის საგუმავოზე (შეკვეთილში, ნატანებთან), ნავომარსა და ორპირში. მნიშვნელობა ენიჭება ექადის მდლობზე გამაგრებას, რადგან იგი მეტად მნიშვნელოვანი და ყველაზე ახლომდებარე სტრატეგიული პუნქტი იყო თურქეთის საზღვართან.

ომის წინა პერიოდში რიონისპირა მხარე მონახულა კავკასიის მეფის-ნაცვალმა და კავკასიის არმიის მთავარსარდალმა დიდმა მთავარმა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ, რომელიც ფოთიდან ცხენზე ამხედრებული სანაპირო გზით ჩავიდა წმ. ნიკოლოზის საგუმავოზე (ნატანებთან), აქედან კი 5 აპრილს ქოზურგეთს ეწვია. მეფისნაცვალმა დაათვალიერა ექადის მდლობზე დაბანაკებული ჯარის ნაწილები, მეორე დღეს თვით ქალაქში განლაგებული ჯარები.-სულ 5 ბატალიონი, 8 ქვემეხითურთ ოზურგეთის ადგილობრივი ბატალიონი და 1 გურული ქვეითი დრუჟინა. მეფისნაცვალი კმაყოფილი დარჩა მათი დათვალიერებით და აქედან პირდაპირ ნავომარში გაემართა, სადაც მას ელოდა ლენქორანის პოლკი და მე-19 საარტილერიო ბრიგადის მე-2 ბატალიონი. აპრილის პირველ რიცხვებში გრძელდებოდა ოზურგეთის რაზმის ახალი ძალებით შევსება. 1877 წლის 11 აპრილს ოზურგეთში ჩამოვიდა კავკასიის არმიის მთავარსარდალი, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის

თანაშემწე, გენერალ-ადიუტანტი თავადი დ.ი. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელმაც თან ჩამოიტანა უკანასკნელი საიდუმლო ინსტრუქცია ოზურგეთის რაზმის მოქმედების შესახებ. მთავარსარდალის ბრძანებით 12 აპრილს, ადრე დილით, მოხდა ოზურგეთის რაზმის მიერ ჩოლოქზე საზღვრის გადალახვა და ციხისძირის მიმართულებით იერიშის დაწყება, დილის 6 საათზე. გამწვრივებული კონვოის წინ გამოვიდა მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი ი.დ. ოკლობოვი და კონვოელების ასეულის თანხლებით დაიძრა წინ ჩოლოქის სანაპიროსაკენ. სწორ ველზე ჯარები იყო განლაგებული. ოკლობოვმ პირველად ჩაუარა გენერალ-მაიორ დანიბეგოვის (დანიბეგაშვილის)მარცხენა კოლონას, რომლის შემადგენლობაში იყო სულ ორი ბატარეა და კავალერიის ასეული.

აქ იყო გურული ქვეითი დრუჟინა (4 ასეული) თავად კაპიტანი იასე გურიელი და მისი თანაშემწე-ქუთაისის პოლკის მაიორი დ.ჩხეიძე. ასეულების მეთაურები იყვნენ პორუჩიკი დ.მიქელაძე, თავადი ი.აბაშიძე, პრაპორშჩიკები გ. გუგუნავა და ი.მაყაშვილი, რომელიც შემდეგ გენერალ-მაიორი გახდა. აღნიშნულის შემდეგ გაემართა მარჯვენა კოლონისაკენ, შემდეგ კი-შუა კოლონა მონახულა. გადაიხადეს პარაკლისი და ბატალიონები დაიძრა წინ.

ოზურგეთის რაზმი (მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ოკლობოვი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი). 12 აპრილს, ადრე დილით გავიდა ჩოლოქის საზღვარზე 3 კოლონით. წმ. ნიკოლოზის საგუმავოდან (შეკვეთილ ნატანებიდან) უტევედა მარჯვენა კოლონა ალექსანდროპოლის პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ თავად აბაშიძის წინამძღოლობით, შუა კოლონა გენერალ-მაიორ შერემეტევისა, რომელშიც სხვა შენაერთებთან ერთად შედიოდა ქართული ქვეითი დრუჟინ თავად ი.ს. ჭავჭავაძის მეთაურობით, მიემართებოდა ოჩხამურისაკენ, ხოლო ქოზურგეთიდან ექადისთან თავმოყრილი მარცხენა კოლონა, გენერალ-მაიორ დანიბეგოვის (დანიბეგაშვილის), იასე გურიელის გურულ ქვეითი დრუჟინასთან ერთად. ოზურგეთის რაზმის სარდალი ოკლობოვი და შტაბის უფროსი გ.ყაზბეგი იმყოფებოდა შუათანა კოლონაში. მათთან ერთად იყვნენ აგრეთვე საკორდონო ხაზის უფროსი თავადი გრიგოლ გურიელი, ხაზის კომენდატი პოლკოვნიკი მეფისოვი (მეფისაშვილი), პოლკოვნიკი მიქელაძე, სარდლის ადიუტანტი შტაბს-კაპიტანი ყაზბეგი. ოზურგეთში დატოვებული იქნა რეზერვად ჯარის ნაწილები, რომელსაც მეთაურობდა გენერალ-მაიორი თავადი ლევან გურიელი (გრიგოლ გურიელი ძმა).

წმ. ნიკოლოზის საგუმავოდან წამოსულმა კოლონამ (მეთაური თავადი აბაშიძე)ჩოლოქის გადალახვისთანავე დაიკავა თურქთა პირველი პოზიცია ბრძოლის გარეშე, თურქებმა იგი მიატოვეს, ასევე ბრძოლის გარეშე დაიკავეს მეორე საგუმავო.

ლაშქრის ორი კოლონა ლევასა და ოჩხამურისაკენ გაემართა, რათა ორივე მხრიდან დაერტყათ მუხა-ესტატეს თურქთა პოზიციისათვის, თურქები შეუპოვრად იცავდნენ თავს, ბოლოს იგი დაპყრობილ იქნა. გენერ-

ალ შერემეტევის კოლონამ I ქართული ქვეითი დრუჟინის მეტ ნაწილთან ერთად დაურეკოვნილივ აიღო ოჩხამური და 14 აპრილს მუხა-ესტატეს მიაღწია, რომელიც ალბული ჰქონდა გენერალ დანიბეგოვის ნაწილებს, რომელთა შორის იყო გურული დრუჟინის სახალხო მილიცია. ბევრი გურული შეეწირა ამ და მომავალ ბრძოლებს. მათი გმირული ბრძოლით აღფრთოვანებას ვერ მალავდა გენერალი ბ. კოლობაკინი (რომელმაც გამოსცა შესანიშნავი მოგონებანი-ქობულეთის რაზმის ოფიცრის მოგონებანი, პეტერბურგში).

რუსის ჯარი მოქმედებდა ნელა და ფრთხილად. ორ კვირამდე დაყოვნდნენ მუხა-ესტატეში, პარალელურად ამაგრებდნენ ზურგს, ოზურგეთისა და წმინდა ნიკოლოზის გზებს აკეთებდნენ, ოზურგეთი შეივსო ახალი ძალებით. 18 აპრილს მუხაესტატეში ოზურგეთიდან ჩამოვიდა მთავარსარდლის თანაშემწე სვიატოპოლ-მირსკი და პოზიციები დაათვალიერა.

29 აპრილს რუს-ქართველთა ჯარმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნა ზუცუბნის მიმართულებით. გენერალმა დანიბეგოვმა დაიწყო შეტევა, და მტრის მარცხენა ფლანგს დაარტყა. გენერალმა ოკლობოვმ გურული დრუჟინის მე-4 ასეული გაგზავნა წინ პორუჩიკ თავად ივანე მაყაშვილის ხელმძღვანელობით, რათა აეღო ცენტრალური მადლობი. გურულებს უკან მიაღვენეს სეკსტობოლის ორი ასეული მაიორ ბარაგანსკის მეთაურობით. როცა ზუცუბნის მადლობს იღებდნენ, პოლკონიკმა გ.ყაზბეგმა ოზურგეთიდან მოშველებული სამხედრო ძალებისა და მუხაესტატეს სარეზერვო ნაწილისაგან შემდგარი ახალი რაზმისაგან დაიკავეს მ. დ. აჭყვისთავსა და მდ. კინტირის შორის არსებული მიწები ტყიანი და მთავორიანი სივრცე.

29 აპრილს ზუცუბანი ალბულ იქნა.

1877 წლის მაისიდან ოზურგეთის რაზმს ქობულეთის რაზმი ეწოდა, რომლის მეთაურად გენერალ-მაიორი დანიბეგოვი დაინიშნა, ცალკე შტაბის უფროსად პოლკოვნიკი გიორგი ყაზბეგი. გენერალ-ლეიტენანტი ოკლობოვი დარჩა მხედართმთავრად, პოლკოვნიკი გურჩინი დაინიშნა მარცხენა კოლონის მეთაურად.

1877 წლის 9 მაისისათვის ახალი პოზიციების გამაგრების ყველა სამუშაო უკვე მორჩენილი იყო, წინ მოჩანდა სამებისა და ციხისძირის მადლობები.

სამებაზე იერიში უნდა განეხორციელებინა მარცხენა კოლონას პოლკოვნიკ გურჩინის ხელმძღვანელობით. მის კოლონაში შედიოდა გურული დრუჟინის ორი ასეულიც. მარჯვენა მხრიდან ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი კონელკოვი, აქ იყო 14 ასეული 4 ქვემეხით, მათ შორის იყო გურული დრუჟინის ორი ასეული. შეტევა სამებაზე განხორციელდა 15 მაისს. სამების მადლობი შედარებით ადვილად იქნა აღებული, თავად მელიქიშვილის კოლონა შევიდა ზემო ქობულეთში და დაიკავა სოფ. ზენათთან მადლობი, რათა გზა გადაეჭრა ციხისძირთან გამაგრებული თურქთა ჯარისათვის. ქობულეთლებმა აღარ იცოდნენ ვის მიმხრობდნენ.

ლევან ახილაძე
მანანა ლომაძე

მონატრება

იმედიანი ღია წერილი იმედის გორადან



რეზა თავართილაძე და თენგიზ ბერიშვილი

85 წლის ვხდები. სწავლის პერიოდს ყოველთვის სოხუმში ვატარებდი, ბიძის ოჯახში. იქ შევიძინე ბევრი მეგობარი, რომლებთანაც შემდეგ დიდი ხნის ურთიერთობა მქონდა. გურიაშიც ხშირად მსტუმრობდნენ. ალბათ, ზოგი აღარც არის ცოცხალი. გულისტკივილით ვივლი. სოხუმშია ჩემი ტრაგიკულად გარდაცვლილი ბიძის და მისი ოჯახის წევრების საფლავები. სათუთად უვლიან.

5 წელი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, სადაც, სხვებთან ერთად, ბევრი აფხაზი და ოსი მეგობარი შევიძინე; ზოგთანთან ახლაც მაქვს ურთიერთობა.

თბილისში მუშაობისას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან მიხდებოდა ურთიერთობა. ჩვენში მხოლოდ სიყვარული და ურთიერთპატივისცემა იყო.

1973 წლიდან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვმუშაობდი ოზურგეთის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანაში, დირექტორად. ქარხნის ძირითადი დანიშნულება იყო დასავლეთ საქართველოს და ოსეთის სამშენებლო ობიექტების დაკომპლექტება რკინა-ბეტონის ნაკეთობებით.

24-საათიან რეჟიმში ვმუშაობდით. ვამაყობდი და ვამაყობ ჩემი მრავალრიცხოვანი კოლექტივით. ვიცოდით, რომ რომ ჩვენ, აფხაზებთან და ოსებთან ერთად, ვაშენებდით და ვემსახურებოდით საქართველოს.

ხშირი, ურთიერთპატივისცემით შეხვედრები გვქონდა სოხუმში, გაგრაში, ვალში, ოჩამჩირეში, გუდაუთაში (მეუღლის მშობლიურ სოფელ ახალგორში), ოზურგეთში. სიყვარულით ვივლი ვეგლა ამ შეხვედრას.

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, რის გახსენებაც ვეგლა ქართველს, აფხაზსა და ოსს

საშინელ, აუტანელ ტკივილს გვრის. მას შემდეგ მწუხარება და ტკივილი არ განვლებულა. ვერ გივიწყებთ, ჩვენო აფხაზებო და ოსებო.

ძალიან გვიყვარხართ! უსაშველოდ გვენატრებით!

მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს სიყვარულის ამრქმალავი და ჩამშობი რაიმე საშუალება. ზიზღს და სიძურვილს მხოლოდ სიყვარული, პატიება და ურთიერთდათმობა დაამარცხებს. ამ სიყვარულს ვერც მავთულხლართები ჩაკეტავს.

მე იმედის გორადან ვარ, იმედით ვცოცხლობ. მჯერა ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით.

ძმებში ხშირია ურთიერთშეთანხმება. ძმები მაინც ძმებად რჩებიან. სიცოცხლე ფულზე არ იყიდება, იგი შეიძლება მხოლოდ სამშობლოს დაუთმო.

ვფიქრობდი, მოვესწრებოდი ამ ბედნიერ დღეს! ეს წერილი იქნებ გამოსათხოვარიც კი დარჩეს.

გვიყვარხართ! გვენატრებით! ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

დიდი სიყვარულით,
რეზა თავართილაძე,
ოსურგეთი, ასკანა, იმედის გორა.

ჩემიონთა ლიგის წილისყრა გაიმართა

სტამბოლში ჩემიონთა ლიგის კონფერენსია გაიმართა. გუნდები ჯგუფებად შემდგომად განაწილდნენ:

- A ჯგუფი: "მანჩესტერ სიტი", პსჟ, "ლაიპციგი", "ბარსელო"
- B ჯგუფი: "ატლანტიკო", "ლივერპული", "პორტუ", "მილანი"
- C ჯგუფი: "სპორტივინგი", "დორტმუნდი", "აიაქსი", "ბაიერნმიუნხენი"
- D ჯგუფი: "ინტერი", "რეალმადრიდი", "შალტარტი", "შპარტაკმიუნხენი"
- E ჯგუფი: "ბაიერნი", "ბარსელონა", "ბენფიკა", ლინკოლინი (კ)
- F ჯგუფი: "ვილიარეალმადრიდი", "მანჩესტერ", "ატლანტა", "იანო ბოლინი"
- G ჯგუფი: "ლილი", "სევილია", "ფალკო", "ვოლფსბურგი"
- H ჯგუფი: "ჩელსი", "იუვენტუსი", "ფენიტი", "მალაგია"

ჯგუფური მატაის წილისყრისთან ერთად, სხვადასხვა ნომინაციაში დასახელდნენ საუკეთესოები, რომორც კაცთა, ისე ქალთა გუნდები.

- სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი (კაცი) - ჟორჟინიო ("ჩელსი")
 - სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი (ქალი) - ალექსია პუტელიასი ("ბარსელონა")
 - საუკეთესო მწვრთნელი (კაცები) - თომას ტუზელი ("ჩელსი")
 - საუკეთესო მწვრთნელი (ქალები) - ლუის კორტესი ("ბარსელონა")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეკარე - ედუარდ მენდი ("ჩელსი")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მცველი - რუბენ დიასი ("მანჩესტერ სიტი")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ნახევარმცველი - ნელო კანტე ("ჩელსი")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო თავდასხმელი - ერლინგ ჰაალანდი ("დორტმუნდენი")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ქალი მეკარე - სანდრა პანიოსი ("ბარსელონა")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ქალი მცველი - ირენ პარედესი (პსჟ)
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ქალი ნახევარმცველი - ალექსია პუტელიასი ("ბარსელონა")
 - 2020/21 წლების ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ქალი თავდასხმელი - ჯენიფერ ერმოსო ("ბარსელონა")
- უფას პრეზიდენტის სპეციალური ჯილდო - უფას, კოპენჰაგენის სტადიონ "პარკენისა" და დანიის ნაკრების სამედიცინო გუნდი, რომელთა ძალისხმევით სიცოცხლე შეუნარჩუნდა კრისტინა ერიქსენს ევროპის ჩემპიონატის მატჩის დროს მომხდარი კოლაფსისას, ასევე დანიის ნაკრების კაპიტანი სიმონ კიარეი.

მეგობრობა, კონფერენსია. ჯგუფური მატაის წილისყრა უიღბლო კიტეიშვილი, ქართული ჯგუფი და ჩაკეტილი ლორიას წინააღმდეგ

სტამბოლში ევროალიგისა და კონფერენსიის ჯგუფური მატაის წილისყრა გაიმართა. ამ ტურნირებში ბევრი ისეთი გუნდა, სადაც ქართველი ლეგიონერები თამაშობენ და ამიტომაც იქცევიან ჩვენს ყურადღებას.

ევროალიგის ჯგუფში მოხვდა ოთარ კიტეიშვილის "შტურმი", რითაც ამჟამად არ გაუმართლა - საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის გუნდს წარმატებებს ვუსურვებთ, თუმცა ფაქტია, ძალიან რთული იქნება ბრძოლა "შტურმი", "სევილიას" და "სოსიედადის" წინააღმდეგ.

ისევე, როგორც ქართველების (ლამა დეალი, გიორგი ხარაიშვილი) "ფერენცვაროშისთვის" - "ლევერკუზენის", "სელტიკის" და "ბუქინგემის" კომპანიაში.

კონფერენსიაზე ერთი "ქართული" () ჯგუფი გვაქვს - დავით ზოჭოლაგას "კოპენჰაგენი" ჯაბა კანკავასა და გურამ კამათს "სლოვანს" დაუბრუნებინებდა, აქვე ნიკა ნინუას პაოკიც.

ჯგუფი მოხვდნენ გიორგი ჩაკეტიშვილის "გენტი" და კვიპროსული "ანორთოსისი", რომლის კარს გიორგი ლორია იცავს, ხოლო მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია.

- მეგობრობა**
- A ჯგუფი: ლინკოლინი (საფრანგეთი), რენჯერსი (შოტლანდია), სპარტა (ჩეხეთი), ბრონდბიუ (დანია)
 - B ჯგუფი: მონაკო (საფრანგეთი), პსჟ ეინდჰოვენი (ნიდერლანდები), სოსიედადი (ესპანეთი), შტურმი (ავსტრია/ოთარ კიტეიშვილი)
 - C ჯგუფი: ნაპოლი (იტალია), ლესტერი (ინგლისი), სპარტაკი (რუსეთი), ლეგია (პოლონეთი)
 - D ჯგუფი: ოლიმპიკოსი (საბერძნეთი), აინტრასტი (გერმანია), ფერენცვარე (უნგრეთი), ანტვერპენი (ბელგია)
 - E ჯგუფი: ლაციო (იტალია), ლოკომოტივი (რუსეთი), მარსელი (საფრანგეთი), გალათასარაი (თურქეთი)
 - F ჯგუფი: ბრაგა (პორტუგალია), ცრენა ზეზელა (სერბეთი), ლუდოგორეცი (ბულგარეთი), მიდლსუანდი (დანია)
 - G ჯგუფი: ლევერკუზენი (გერმანია), სელტიკი (შოტლანდია), ბუქინგი (ესპანეთი), ფერენცვაროში (უნგრეთი/ლამა დეალი, გიორგი ხარაიშვილი)
 - H ჯგუფი: დინამო (ზორგატია), გენკი (ბელგია), ვესტ ჰემი (ინგლისი), რაბილი (ავსტრია)
- კონფერენსია**
- A ჯგუფი: ლასკი (ავსტრია), მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი), ალაშკერტი (სომხეთი), ჰიკი (ფინეთი)
 - B ჯგუფი: გენტი (ბელგია/გიორგი ჩაკეტიშვილი), პარტიზანი (სერბეთი), ფლორა (ესტონეთი), ანორთოსისი (კვიპროსი/გიორგი ლორია, მწვ. თემურ ქეცბაია)
 - C ჯგუფი: რომა (იტალია), ზორია (უკრაინა), ცსკა (ბულგარეთი), ბოლოგლიტი (ნორვეგია)
 - D ჯგუფი: ალკმარი (ნიდერლანდები), კლოუვი (რუმინეთი), იაპლონიცი (ჩეხეთი), რანდერსი (დანია)
 - E ჯგუფი: სლაგია (ჩეხეთი), ფეინიორდი (ნიდერლანდები), უნიონი (გერმანია), მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
 - F ჯგუფი: კოპენჰაგენი (დანია/დავით ზოჭოლაგა), პაოკი (საბერძნეთი/ნიკა ნინუა), სლოვანი (სლოვაკეთი/ჯაბა კანკავა, გურამ კამათ), ლინკოლინი (გიბრალტარი)
 - G ჯგუფი: ტოტენჰემი (ინგლისი), რენი (საფრანგეთი), ვიტესი (ნიდერლანდები), მურა (სლოვენია)

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, +21+31	ქვიშა-ქვიშალო +21+26	წვიმა +18+26	მზა, ღრუბლო +16+24	მზა, ღრუბლო +14+18	წვიმა +14+18	წვიმა +14+19
30 აგვისტო ორშაბათი	31 აგვისტო სამშაბათი	1 სექტემბერი ოთხშაბათი	2 სექტემბერი ხუთშაბათი	3 სექტემბერი პარასკევი	4 სექტემბერი შაბათი	5 სექტემბერი კვირა